МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

წლიწადი მეორე. № 1. 5 იანვარი 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

# ივერია

«ივერიის» ფასი

ერთის წლისა, გაგზავნით თ გაუგზავნელად 7 მ.
თითო ნომერი . . . . . . . . . . . 15 კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილს წერილებს.

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გამოდის ხუთშაბათობით

БИБЛИОТЕКА

გაზეთი ივერია გამოვა 1878 წელს იმავე სახით, იმავე პროგრამმით და ისევ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნელად, შვიდი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება დილის ათის საათიდამ ნაშუადღევის ორს საათამდე ტფილისში, «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთაწმინდის ქუჩაზედ, შიოევის სახლების ზემოდ, ქანანოვის სახლში, № 5.

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი «ივერია» ამ ადრესით: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты ИВЕРІЯ.**

საძიებელი I. საქართველოს მატიანე. ქართლი (ივერიის კორრესპონდენცია)—II. საპოლიტიკო მიმოხილვა.—III. ომის ამბები. —IV. მეფე დიმიტრი თავ-დადებული, (ლექსი)—V. წერილი პეტერბურღიდამ, წერილი მეხუთე.—VI. საქართველო, (ისტორიული და ეტნოგრაფიული გამოკვლევა.)—VII. ქალაქის სცენები (1877 წ. ომის დროდამ).

### საქართველოს მატიანე

ჩვენს სამღვდელოებას დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენის ქვეყნის წინაშე. რასაკვირველია, ამას ჩვენს ახლანდელს სამღვდელოებაზედ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით. ჩვენ ვამბობთ ჩვენის მამაპაპის სამღვდელოებაზედ, იმ დროის სამღვდელოებაზედ, როცა ღვთის მსახური კაცი იყო ქვეყნის და ჩვენის ერის მსახურიცა; როცა იგი ჭირში პირველი მეშველი იყო, უქეთესი მამა, გულშემატკივარი დამრიგებელი, მაღალის ზნეობის მაგალითი, გამკითხავი ყოველის უძლურისა და დავრდომილისა, გამკიცხავი ყოველის ბოროტისა და უკაცურობისა, უშიშარი მქადაგებელი ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, თავ-დამდებელი და თავ-გამომეტებული რჯულისა და ერისათვის! ჩვენი ისტორია სავსეა სახელოვანის მოღვაწეობითა იმ ნეტარ-ხსენებულის სამღვდელოებისა. წარვიდნენ ის მამა-პაპანი და თან გაჰყვნენ ის სახელოვანნი ღვთის მსახურნიცა, რომელთაც საქართველოს გაქრისტიანების დღიდამ ამ საუკუნის დასაწყისამდე ხელთ ეპყრათ ჩვენის ერის სწავლა და მეცნიერება. მწიგნობრობის, მეცნიერების, სწავლისა და განათლების დროშა მათ მჭიდრათ ხელში და ამ გონებითს სიმდიდრეს ისე კი არ ეპყრობოდნენ როგორც ძუნწი ფულსა, არამედ გულ უხვად, თავ-დადებით ახმარებდნენ ერს,ავრცელებდნენ ყველგან სადა კი ხელი და ღონე მიუწვდებოდათ. დიახ, იყო დრო, როცა განათლებით და სწავლით დაწინაურებული სამღვდელოება წინ მიუძღოდა ერს უანგაროდ განათლების და წარმატების გზაზედ. ეხლა კი სულ სხვაა. დღეს სამღვდელოებას თითქმის დავიწყებული აქვს ჩვენის უწინდელის სამღვდელოების ღვაწლი საქართველოს ეკკლესიისა და ქვეყნისათვის. დღეს ყოველი საკუთარის სტომაქისათვის იღვწის და საკუთარის სარგებლობის დევნაშია გართული. ორიოდ პატივცემულნი გვამნი ძლივსღა მოჩანან ჩვენს სამღვდელოთა შორის ისეთნი, რომელთაც შერჩენიათ ძველთა მამა-მთავართა გულმტკივნეულობა ჩვენის ქვეყნისადმი. ორიოდღა არიან, რომელთა მოქმედება

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ТБИЛИССКИЙ … Библиотека

ზედაც შეიძლება კაცი სიამოვნებით შეჩერდეს და ტკივილით წარმოჰსთქვას: ჯერ კიდევ სული მართლ-დვთის მსახურებისა არ წარწყმედილა ჩვენშიო.

ერთმა ჩვენმა სამღვდელო გვამმა ამ ახლო ხანში გამოიჩინა თავი ამ გვარის მოქმედებით და ჩვენ გვიხარიან რომ ეს მოხდა ჩვენის კაცისაგან და ჩვენის ქვეყნისათვის. ქრისტიშობის 13-ს იმპერატორის ალექსანდრეს პირველის დღეობისა გამო გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ წარუგზავნა ტფილისის სემინარიის გამგეობას ასი თუმანი. აქედამ 1) ხუთასი მანეთი ქართულის გალობის ნოტებით დაწერისა და დაბეჭდვისათვის, 2) სამასი მანეთი სემინარიის სამოწაფო ბიბლიოთეკის წარმატებისა და გამდიდრებისათვის, 3) ორასი მანეთიც რუსულიდამ ქართულად თარგმნისა და დაბეჭდვისათვის იმისთანა თხზულებისა, რომელიც სარწმუნოებისა და ზნეობის მოძღვრების შესახები იქმნება.

ეს სამაგალითო საქმეა, არამც თუ ჩვენში, სადაც ესე იშვიათია საზოგადო საკეთილოდ შეწირვა რისამე, არამედ იქაც სადაც თითქმის ჩვეულებად არის მიღებული საზოგადოებისათვის რისამე შეწირვა. ამიტომაც ჩვენის სამღვდელოების სასიქადულოდ მიგვაჩნია ეს სამაგალითო ღვაწლი მისის წარმომადგენელისა.

—

„ივერიის“ კორრესპონდენცია

ქართლი. პირველ დეკემბრიდგან დაწყობილი აქნობამდე აქ საშინელი ყინვები დაიჭირა, ასე რომ პატარა ჩიტი-ბეღურები სიცივით ხეებზედ იყინებიან, ხალხიც საგრძნობელად შეაწუხა ამ ყინვამ ცალკე სიცივით და ცალკე შიმშილით: გორის მაზრაში წისქვილები სულ მთლად დაყინა, ხალხი ნახევრობაზედ უნაფქოდ არის და ამის გამო დიდს შიმშილს ითმენს. ს. ბეგოთს ბევრი წისქვილებია და ბრუნავენ კიდეც, მაგრამ იქაც სახელმწიფო პური იფქვის და მარტო ჯამას ძლივს ასდიან. კვირით კვირამდე ხალხი მოხარშულის სიმინდით, ლობიოთი და ხალიფაფით გამოდის, რომ პურის დაფქვის ილაჯი არა აქვს: საწყალს აქაურს გლეხს საქონლის ჭირმა ხომ სულ მთლად გაუწყვიტა საქონელი, რის გამოც ამ საშინელ სასტიკ ზამთარს დიდის გაჭირებით და ცოდვით ატარებს. საკვირველი ის არის, რომ მთელი ექვსი შვიდი თვეა, რაც საქონლის ჭირი გაჩნდა ქართლში, ამ ხნის განმავალობაში ყოველ დღე ყოველს სოფელში რამდენიმე ხარ-კამბეჩი უნდა მოკვდეს, რომლებსაც გაატყავებენ – ტყავს საქალამნეთ შეინახავენ და ლეშს ცხვირ-წინ ზედ კარებზედ დააგდებენ, რომლის გამო საშინელი ამყრალებული სუნი ეფინება გარშემო. გაოცებული ვართ.... განა ამას ყური არავინ უნდა უგდოს?—არც დარიგება, არც ექიმი არსადა ჩანან.

ამ ხნებში მე მამიხდა შემთხვევითი ლაპარაკი ხუთექვს ს. ახალქალაქის გლეხებთან; სხვათა შორის ჩამოვარდა ლაპარაკი ძვირობაზედ და ფულის უშოვნელობაზედ: „ბატონო, მიითხრა ერთმა: ე სახემწიფო ფული რო დამაძალეს, მალიან გამიჭირდა საქმე, ვერსად ვერ ვიშოვნე—ავდექ და ერთ ულვთო კაცს დავედრიჯე, ერთი თუმანი ძლივს ძლიობით გამოვართვი, იმ პირობით რომ იმ ერთ თუმანში მე ზაფხულში ათი კოდი პური უნდა აუწყო კალოზედ და ჩავაბარო—შემოდგომაზედ კი მე კოდი ისევ იმისგან ერთი ორად უნდა ვიყიდო.“ ბიჭო და თქვენში ხო სოფლის ბანკია გამართული მეთქი, რატომ თქვენ სოფლის ბანკში ამხანაგებად არ ჩაეწერებით, რო იქიდგან ადვილად ხელი მოინაცვლოთ ხოლმე და მაგდენი ტყუილი ხარჯი არ მოგივიდეს. ყველამ თვალე დაჭყეტით დამიწყეს ცქერა. „ბატონო, ნეტავი გვქონდეს მაგისთანა გამართულობა და, რადა გაგვიჭირდებოდა. მაშინ ხელმწიფესაც, ბატონსაც, მოვალესაც ადვილად პასუხს გავსცემდით.“ მე ვუთხარი, რომ ქ ორი წელიწადიც არის რაც თქვენ სოფელში საამხანაგო ბანკია და რა გემართებათ მეთქი რო აქნობამდე არა გცოდნიათ. იმათ ყველამ ერთ ხმათ შემამფოცეს, რომ მათ სოფელში მაგისთანა არა არის რა-დ თუ არის, თავადებისა არისო. შენგან არ მიკვირს,– განა თავადი გლეხს ამხანაგად გამოადგება!?—ამით გაათავეს მათ თავიანთი ბაასი ჩემთან და ბოლოს დიდის სურვილით მოიწადინეს საგლეხო ბანკის გათვა და არა თავადებისა.

ჩოჩელი.

———

43
1878/3



## საპოლიტიკო მიმოხილვა

ახალმა წელიწადმა შესანიშნავი ამბავი მოგვიტანა ოსმალოს ომის შესახები. ინგლისის უცხოთ ქვეყნების საქმეთ მინისტრს, დერბის გამოუცხადებია ოსმალოს მმართებლობისათვის, რომ ინგლისის მმართებლობა ომით არ დაიცავს ოსმალეთისაო. ამ უკანასკნელ კვირებში გაზეთებმა გახშირებული ლაპარაკი გამართეს მორიგების თაობაზე და ამ ლაპარაკში დიდი ყურადღება იყო მიქცეული ინგლისზე. კარგა ცხადათ სჩანდა ომის დაწყებიდამ, რომ ინგლისის სამინისტროს უფრო ოსმალთა მხრის დაჭერა უნდოდა, მაგრამ ინგლისის ხალხში დიდი მოძრაობა აღმოსჩნდა იმ განზრახვით, რომ სამინისტროს საომარი იარაღი ხელში არ აეღებინოს. ეს მოძრაობა ამ უკანასკნელ ხანში უფრო გაძლიერდა, როდესაც სამინისტრომ გამოაცხადა პარლამენტის შეკრება. პარლამენტს იმიტომა ჰკრებსო, რომ ფული მიეცეს ომის გასაძღოლათაო, ამბობდნენ ერთნი; მეორეს მხრით სხვა ხმაც ისმოდა, რომ ბიკონსფილდს ინგლისის დედოფალი ვიქტორია მოუბირებია და ინგლისის ხალხის წინააღმდეგ გადაწყვეტით ომს უპირებს რუსეთსაო. ამ გარემოებამ იქამდის მიაღწია, რომ ხალხის კრება (მიტინგი) მუდამ დღე იყრება ხალხის აზრის გამოსაცხადებლად. ეს აზრი უმრავლესობით ომის წინააღმდეგია და მომავალ პარლამენტსაც აიძულებს ომის წინააღმდეგი აზრი გამოაცხადებინოს და სამინისტროს ყოველი სახსარი მოაკლოს ომის განზრახვისათვის. ამას რასაკვირველია დიდი მოქმედება უნდა ჰქონდეს სამინისტროზე.

მეორე გარემოება ის უნდა იყოს ინგლისის უომრობისა, რომ მთელს ევროპაში მარტოდ არის. ამის პირველ დაწყების დროს ოსმალოს ჯარი კარგა გაწყობილი იყო, მაგრამ ახლა ასი ათასი კაცი ტყვეთ არის რუსის ხელში, დანარჩენი არეულ-დარეულია, შეწუხებული და მოქანცული. ინგლისს დიდი იმედი ჰქონია ავსტრიისა, მაგრამ ავსტრიას გერმანიისა ერიდება და ამასთან უომრად კარგის ლუკმის (ბოსნიის) ჩაგდების იმედიც აქვს. დარჩა ერთიღა იმედი საფრანგეთზე. უკანასკნელ დროს მართლა საფიქრებელი იყო, რომ მაკ-მაჰონს თუ საფრანგეთის სურვილი არ აესრულებინა და რესპუბლიკის წინააღმდეგი კაცები დაენიშნა მინისტრებად, ვინ იცის ამ კაცებს თავის დასამკვიდრებლად და რესპუბლიკის მოსაშლელად ომი აეტეხნათ. ამ მოქმედებისა დიდათ ეფიქრებოდათ ფრანცუზებს და იშიშოდნენ საფრანგეთის მდგომარეობისათვის. მართლაც საფიქრებელი და საშიშო იქნებოდა როგორც შინაგან საქმეებისათვის, აგრეთვე გარეშისთვის. ინგლისის სამინისტროვო ამბობდნენ, ვითომ საიდუმლოდ მოლაპარაკებია საფრანგეთის მმართებლობასაო. მაგრამ ფრანცია ასცდა დიდ განსაცდელსა დუფორის დანიშვნითა.

ამასობაში შიპკასთან რუსებმა გაიმარჯვეს და 25 ათასი ჯარი დაატყვევეს.

ყველა ეს გარემოება ისეთი გარემოებაა, რომ ინგლისის სამინისტროს თუ დარჩენა უნდა, სხვა გზა აღარა ჰქონდა ხალხის მოთხოვნილებას უნდა დაჰმორჩილებოდა და ოსმალოს მთავრობისთვის გამოეცხადებინა პარლამენტის გახსნის ხუთი ექვსი დღის წინათ, რომ, იარაღით ხელში ოსმალოს არ დავიცავთო. ამ გამოცხადებას დიდი მნიშვნელობა ამითი აქვს, რომ, როგორც ამბობდნენ წინათ, ინგლისის სამინისტრო ოსმალოს საიდუმლოთ შემწეობას და ომში გარევას ჰპირდებოდაო. ამ იმედით ოსმალომ პლევნის აღების შემდეგაც რუსეთს პირდაპირ მორიგება არა სთხოვა. და ახლა ისმის რომ ოსმალო რუსეთთან მორიგებას ინგლისის შუამავლობით აპირებსო. გაზეთები და ტელეგრამმები არაფერს გვატყობინებენ ამ შუამავლობის თაობაზე, რუსეთი თანახმაა თუ არა. მაგრამ რაკი ინგლისმა ბეჯითი აზრი გამოაცხადა რომ ომში არ ერევა, მას შემდეგ ინგლისის მონაწილეობა მორიგებაში და იმისი შუამავლობა აღარაფრად ღირს არც ოსმალეთისთვის, და არც რუსეთისთვის დასაბრკოლებელი რამ იქნება.—მაგრამ ერთი რამ იქნება იყოს: ინგლისს ეგვიპტეზე და ყანდიის კუნძულზე თვალი უჭირავს, იქნება ამის შოვნის იმედმა დააჩუმა.

ყველა ეს გარემოება გვაიმედოვნებს, რომ ოსმალო ძალა-უნებურად უნდა მორიგდეს.

---

## ომის ამბები.

— პარასკევს ქრისტეშობის 30-ს დილაზე ზარბაზნის სროლამ ტფილისს აცოდინა ახალი გამარჯვება.

ზღვენის აღების შემდეგ სწორედ თვის თავზე ქრისტეშობის 28 შიპკოსთან ძრიელი ბრძოლა მომხდარა. გენერალ რადეცკის წინამძღვრობით ოსმალონი დამარცხებულან; მთელი შიპკოს მხედრობა ტყვედ ჩავარდნილა სახელდობრ: 25 ათასი ჯარი, ოთხი გენერალი, 360 შტაბ და ობერ აფიცარი, 5 ბაირაღი, 60 ზარბაზანი. ომი ორი დღე ყოფილა 27 და 28 —ამ ომის ზიანის ამბავი ჯერ სკობელევის ჯარს შეეხება, რომელიც იქ დასწრა: მოკლულია 6 აფიცერი, 294 სალდათი; დაჭრილია 38 აფიცერი.

— გენერალ-მაიორი ლორის მელიქოვი მისულა ჯარით დასათვალიერებლად ტრაპიზონის გზისა ბაიბურთამდე. ბაიბურთის სიახლოვეს ათასი კაცი ცხენოსანი ჩვენის ჯარისა შეხვედრია ათას ხუთას კაცს ოსმალოს ცხენოსან ჯარსა, გაუქცევია და დასდევნებია ჩვენებს დაუტყვევებიათ ერთი აფიცარი და ასამდე სალდათი. უშოვნიათ ერთი ბაირაღი, ბევრი თოფი, ცხენი და სხვა სამხედრო მასალები

— 28 ქრისტიშობისთვიდამ აზრუმს ჩვენი ჯარი სრულად გარს შემორტყმია.

— ქრისტიშობის 30-ს ევპატორიასთან მისულა ორი ოსმალოს აბჯრიანი გემი და ორი საათი და 25 მინუტი ყუმბარები უსროლიათ. ამ სროლისაგან ზოგი შენობა დანგრეულა, დაჭრილა 7 კაცი. ყუმბარის სროლა შემდეგაც ყოფილა.

— იანვრის 2 აბჯრიან გემს აგრეთვე ყუმბარის სროლა დაუწყვია ანაპისა და რამდენიმე სახლი დაუნგრევია.

— ლონდონიდამ იანვრის 2-ს ამბავი მოიტანა ტელეგრამამ, რომ დიდის მთავარის ნიკოლოზის თხოვნით ყაზანლიკში ოსმალეთმა უნდა გაგზავნოს ორი მოციქული მორიგებაზე მოსალაპარაკებლად. ოსმალეთს დაუნიშნავს ორი ფაშა სერვერ და ნემიკ.

— იქიდამვე 2 იანვრის ამბავი: ხონთქარს დაუმტკიცებია მორიგების პირობანი. ოსმალოს თხოვნაზე, რომ ინგლისმა მორიგებაზე იშუამდგომლოს რუსეთის წინაშე, ლორდ დერბის შეუთვლია, რუსეთი გარეშე სახელმწიფოების შუამდგომლობას არ თანხმდებაო. ამის გამო ნაციონალურ კრებაში სერვერ ფაშას უთქვამს, რომ ჩვენი მეცადინეობა ევროპის მოხაწილეობისათვის უქმად დარჩა და მარტონი დავრჩითო; ამის გამო დროებით მტერთან მორიგებას უნდა ვეცადნეთო და შემდეგ საბოლოოთ მოვრიგდეთო.

---

## მეფე დიმიტრი თავ-დადებული

(ვუძღვნი თ. პეტრე ნაკაშიძეს)

უქმე დღე იყო. ტვირთ-მძიმე და დამაშვრალი
საყდრის წინ ჯგუფად ხალხი იდგა და ყაყანებდა;
იქავე ახლოს ცაცხვის ხის ქვეშ ერთი საწყალი
ბრმა-მეფანტური იჯდა ცალკედ და მდუმარებდა.

„ეჰ, რას ყაყანებთ? დაიძახა ყმაწვილმა ბიჭმა:
შინაც მღივს ვუძლებთ დღე მუდამის ჭირს, გაგლახობას!..
აქ მაინც ცოტად ფრთა გაშალოს გულის წადილმა...
ბრმა-მეფანტურევ, გვითხარ რამე მამაშვილობას.

„გვითხარი რამე, ბერო-კაცო, ნასმენ-ნახული,
ეგებ გულს ჟანგი მოაშორო კარგის ამბითა,
კარგს მთქმელს ტყვეთ ჭრჩების ნატკივარი, გული ჩაგრული
გული გაზდილი ვაებითა, წვით და დაგვითა.“

ბრმა-მეფანტური გაიმართა მაშინვე წელში,
სახე ღრუბლვილი გაუნათლდა რაღაც მადლითა....
მიჰხსწვდა, აიღო თვის უბრალო ფანტური ხელში,
დაჰკრა ფანტურსა და დამღერა ნელისა ხმითა.

### I

«მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით
გეტყვით გულის გასათბობსა, —
ვინ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ ქართველნი წინა დროსა, —
იმ დროს როცა . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . .
. მამულის შვილობა
სასახელოდ იყო ჩვენში.

შვილნო, თქვენი წინაპარნი
ეგრე გულ-ქვად როდი იყვნენ....
ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შეჰსწირვიდნენ.

შვილის ყოლა გლეხს თუ თავადს
მარტო მისთვის გვიხაროდა,
რომ მამულსა მეომარი
მით ერთი ემატებოდა.

შვილსა დედა ძუძუს ტკბილსა
იმ იმედით აწოვებდა,
რომ სიცოცხლით, ან სიკვდილით
ის მამულს ასახელებდა.

უწინ ქართველს უხაროდა
მამულისთვის მტერთან ომი,
ან მოჰკლავდა, ან თავის თავს
შეაკლავდა როგორც ლომი.
მამულისთვის ვის ახსოვდა
განსაცდელი განსაცდელში!...
ტრფობა ჰქონდა გულში აბჯრად,
გარედ ბასრი ხმალი ხელში.
ეგრედ, შვილნო, აქ ჰსცხოვრობდა
უწინდელი ქართვლის შვილი,
მის მუდამი ნატვრა იყო
ან სახელი, ან სიკვდილი.
მათს მომდევარს ყოველს თქვენგანს
ჰყვანდა დიდი წინაპარი....
რჯულის დაცვა, მიწა-წყლისა
მის მოწამედ თქვენ წინ არი...

## II

„ეხლა რა ვართ? მწველელ-ფურად
თავი ჩვენი გარდვიქციეთ....
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაქციეთ....
რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით....
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც
გზათ და ხიდათ გავედებით.
წინა კაცი უკანისა
ხიდიაო ნათქვამია,
დღეის ვაგლახს ამით დაჰსძლევს
ვინცა ხვალისა მდომია.
ტყუილია სულთქმა, ყუში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს.
ამით იყო საქართველო
უძლეველი და ძლიერი,
ამით ედგა მტერს გულდაგულ
ეს პატარა ქართვლის ერი.

## III

„ძური მიგდეთ, გეტყვით ამბავს
უტყუარსა და მართალსა:
ერთი მეფე თურმე ჰყვანდათ
უწინ ჩვენ მამა-პაპასა.
დიმიტრი ერქვა სახელად,
მხარ-ბეჭ პრტყელი, ტან მაღალი,
ჯარითში, თუ შვილდ-ისარში
არავინ ჰყვანდა ბადალი.
კაცი იყო მეფე-კაცი
თვალად, ტანად მშვენიერი,
გარედ რისხვით მტრის მსვრელი,
შინ მოწყალე, ღვთისნიერი.
ღამით თურმე ჩაიცვავდა
უბრალო კაბა-ჯუბასა,
წავა და ინახულებდა
საწყალის ხალხის ქობანსა;
მოივლიდა ქვრივს და ოხერს,
დავრდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა
მოწყალებას და საზდოსა.
ვის რაც გულში დარდი ჰქონდა
წავა, იმას შეჰსჩივლებდა,
გლახის, ობლის, ჩაგრულისას
სარჩელსა არ ითაკილებდა.
ყველგან იმის სამეფოში
თხა და მგელი ერთად ჰსძოვდა,
ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი
სულ იმის დღეს ლოცულობდა.

## IV

„მის დროს იყო ყეინობა,
მეფე ყეინს ჰმორჩილებდა,
მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს
თვის ნებაზედ განაგებდა.
ერთხელ ყეინს აეშალა
თათარივე კაცი ერთი,
იმძლავრა და გადიყვანა
ნახევარი სათათრეთი.
მეფე ჩვენი ყეინს თურმე
არ გადუდგა სხვასავითა....
ვაჟი-კაცის წესი არის,
კაცს შეჰრჩება ძმასავითა.
შეიბნენ და შეიჭიდნენ
ყეინი და განდგომილი;

ძმას ძმის ძვალი ატეხინეს,
მამის სისხლსა ღვრიდა შვილი.

დამარცხდა ბოლოს ყეინი,
გამდგარმა აკი აჯობა,
ის მოკლა და თვით დაიპყრო
სათათრეთის ბატონობა.

ის ხომ მოკლა, მის ცოლ-შვილიც
ცხენსა კუდით ათრევინა,
სადაც კი მის მომხრე იყო,
თავები დააყრევინა.

## V

„ჯერი მიდგა ჩვენს მეფეზეც....
—„რატომ მე არ მომიდგაო,
იმას ცოცხალს არ გაუშვებ,
თუ პირში სული მიდგაო.“

გაუგზავნა მოციქული,
—„გამოცხადდი ჩემ წინ შენო,
თუ არ მოხვალ; შენს ქვეყანას
ნაცარ-ტუტას ავადენო.“

დაგვიღონდა მეფე ქველი,
მიხვდა იმ ურჯულოს წადილს,
ისიც იცის იმ ღვთის-რისხვას
ჯართ სიმრავლე შეჰსწევს ქადილს.

რა ჰქმნას? თვითონც მამაცია,
მამაციც ჰყავს ჯარი, ერი,
მაგრამ ერთს რომ ასი გცემდეს,
კლდეც რომ იყო, გაგტეხს მტერი.

დიდს ჩავარდა საგონებელს,
შეუდგა ბჭობას, რჩევასა....
—„წავალ, მომკლავს და არ წავალ
ამიოხრებს ქვეყანასა.“

ბოლოს ბძანა:—„თავს მოვუყრი
მღვდელთ-მთავართ და დიდებულთა,
ოცჯერ ზომვა ერთხელ ჭრაო
წესია მეფეთ ქებულთა.

„ვნახოთ ერთი რას მეტყვიან,
წასვლას თუ წაუსვლელობას?
ორში ერთს რას აირჩევენ,
ჩემს თავს, თუ ქვეყნის დამხობას?„

## VI

ბძანა და მსწრაფლ შეიყარნენ
დიდებულნი, მღვდელ-მთავარნი,
ვეზირნი და ნაზირები,
ბჭე-მდივნები, სპასალარნი.

წადგა მეფე კრების წინა
თამამად და დიდებულად;
ყველამ დიდმა და პატარამ
თაყვანი ჰსცა ბატონს ყმურად.

ასე ჰშვენის მეფე იმ დღეს
ტანად, თვალად, იერითა,
მნახველთ თვალი ვერ გაიძღეს
იმის ჭვრეტით, ყურებითა.

უბძანა თუ:—„დიდებულნო,
საქმე მძიმე მაქვს თქვენთანა....
ის დღეა დღეს, ან მე ვიყო
ან ჩვენი ტურფა ქვეყანა.

„შეიტყობდით, მომივიდა
ყეინისა მოციქული,
აქ მოდიო, მე მიბარებს
ჩემზედ გაბოროტებული.

„თუ არ მოხვალ, მე მოვალო,
აგიოხრებ ქვეყანასა,
სადაც კი ფეხს დავადგამო
ავადენ ნაცარ-ტუტასა.

„თუ წავედი, თქვენც ხომ იცით,
მე სიკვდილი არ ამცდება....
თქვენ რას მირჩევთ? მართალი ჰსთქვით,
მართლის თქმაა ერთგულება.“

## VII

„დიდებულნი წინ წამოდგნენ
ამ ამბით შეწუხებულნი,
მივიდნენ და თაყვანი ჰსცეს,
აემღვრიათ მწარედ გულნი.

—„მეფევ! ნეტა რა გვიბძანე,
რა ასმინე ყურსა ჩვენსა!....
თუ შენ მოგკლენ, შენს სანაცვლოდ
რაღა დარჩეს ერსა შენსა?!

„თუ შენ აღარ გვეყოლები,
რად გვინდა სახლი, ქონება....

ჩვენ შენისთანა დიმიტრი
სხვა არ ვინ დაგვებადება.

„მოვიდეს რომ იმუქრება
ის ურჯულო სისხლის მსმელი,
მოვიდეს და წინ დახვდების
შენი ერთგული ქართველი.

„მტრის მუქარას ერი შენი,
გვითხარ, როდის გაჰქცევია,
გვითხარ, როდის ქვეყნის მტრის წინ
ქართლს უკან დაუწევია!

„ბძანე და იმ მუქარასა
ჩვენს მოსისხლეს შევანანებთ,
ან შევმუსრავთ მამაპაპებრ,
ან მეფისთვის თავსა დავდებთ.

„სირცხვილია ერისათვის
თავის მეფე მიჰსცეს მტერსა...
მეფევ, სირცხვილს ნუ შეაჭმევ
ერსა შენსა შემნატრელსა.

„ნუ, ნუ გვაჭმევ ემაგ სირცხვილს,
წამოლს შვილის-შვილამდიე...
აქ მოვიდეს, მის დახვედრა
ამ ჩვენს ქედზედ დააჭდიე."

VIII

„ახლა წარდგა სპასალარი....
—„მეფევ, რაც ჰსთქვეს მართალია:
შენ წახვიდე, შენ იქ მოგკლან,
ჩვენ წელზედ გვერტყას ხმალია?!

„თუნდ რომ დავრჩეთ, ვინ რას გვეტყვის?
რით ჩავრეცხოთ ეს სირცხვილი?
არა, მეფევ!...მამებს უთქვამთ,—
სახელიო, ან სიკვდილი.

„ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძს,
სირცხვილისგან დაგვიხსენი!....
მეფეს ვფიცავ,—მამაპაპებრ
დღესაც გაჰსჭრის ხმალი ჩვენი."

ბატონმა თავი ჩაჰკიდა
გვირგვინოსანი, ცხებული,
დიდხანს იყო დაღონებით
ეგრე თავ-ჩაკიდებული....

IX

ბოლოს ბძანა: „ეს ქვეყანა
ღვთისაგან მაქვს მონაბარი....
მე დავრჩე და იგი წახდეს,
მითხარით რა მადლი არი!

„ათი ერთზედ რომ მოვიდეს
მუქარას მტერს შევანანებ,
რა ვქნა,—ასი ერთზედ მოვა,
ამას ვწუხვარ და ვვალალებ.

„ჩვენი კაცი ერთი ასსაც,
ვიცი, არ შეუშინდება;
მაგრამ ბოლოს სიმრავლე გვძლევს.
ხალხი ურგოდ გამიწყდება;

„მერმე უკაცურს ქვეყანას
დაჰსწვავს, დაჰბუგავს, დაანგრევს;
საყდრებსა და მონასტრებსა
დააქცევს მიანგრ-მოანგრევს;

„ხატებს მამათ სალოცავსა
წამურტლავს და შეგვიგინებს;
ამოიღებს მკვდრებს საფლავით,
ძაღლსა და ღორს ათრევინებს;

„ქალწულთ ქალზედ ძალით მივა,
წაჰბილწავს, ნამუსს დაუმხობს;
ორსულ დედა-კაცებს კიდევ
მუცელსა ხანჯლით დაუპობს;

„დედას თავის ძუძუთა შვილს
კბილითა დააგლეჯინებს;
უსუსურს ბავშვებს ძნად ჩაშლის
და ზედ კალოს აღეწინებს.

X

„ამდენი სული უბრალო
ტანჯვითა ამოწყდებიან;
საწყალის ხალხის ცოდვითა
ქვანიც კი ატირდებიან.

„ქვეყნის ამოდენა ცოდვა
ჩემს თავზედ დატრიალდება,
წაწყმდება აქაც და იქაც
დიმიტრი მეფის ხსენება.

„ეს სულ რისთვის? მარტო
რომ მე შიშსა გავექცე,

ჩემი თავი გადვირჩუნე
და ერი კი წყალს მივეცი.
„მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ვიცი რაში არი....
ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს
და მგელს მისცეს თვისი ცხვარი...
„სირცხვილს ამბობთ,—რა სირცხვილი?!
მე ვძლევი ნებით მტერსა,
ჩემს სიცოცხლეს, ჩემსა სისხლსა
თვითონ ვწირავ მე ჩემს ერსა.
„თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თავ-დადებას
მე ერთს მთელის ერისათვის!...
„არა, წავალ, არ დავდგები,
და აღსრულდეს ნება ღვთისა;
ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს
მეფის თქვენის დიმიტრისა.“

XI

—„შენ რას ბძანებ, მღვდელ-მთავარო?
სიტყვა შენი გვიღირს მკვირად:
ჰმართებს თუ არ ერისათვის
მეფეს თავი—გასაწირად?„
ატირდა და მოახსენა:
—„ჰე, მეფეო, მე თქმა მიჭირს....
მართალს ვიტყვი, თუმცა შენთვის
სული მიწუხს, გული მიტირს.
„მეფევ, უნდა თავი დაჰსდო
ერისა და ქვეყნისათვის,
ღმერთს შეჰსცოდავს ვინც გამკიცხავს
მე ამ მწარე რჩევისათვის.
„მეფევ, რაკი ბედმან დაგდო
შენ ეს მძიმე საზღაური,
სხვას უკეთესს ვერას გირჩევს
სიყვარული ბატონ-ყმური....
„ვჰსტირ და გირჩევ თავ-გაწირვას
რაკი რომ ეს დღე გვეწია,—
მოყვასთათვის თავ-დადება
ქრისტე ღმერთის ანდერძია.
„ვჰსტირ და გირჩევ ღვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკვდავება არ დაჰკარგო
წუთის სოფლის გულისათვის!...“

XII

მეფეს ძლიერ მოეწონა
მღვდელ-მთავრისა სიტყვა ბრძნული,
წარდგა ისევ კრებულის წინ
უფრო გათამამებული.
—„დიდებულნო, ხომ ისმინეთ
რა ჰსთქვა წმინდა მღვდელ-მთავარმა,
მოყვასთათვის თავ-დადება
გვიბძანაო მაცხოვარმა.
„ნუ გადმიყვანთ ღვთისა სიტყვას,
ერს მეფე ვერ ვუღალატებ!....
წავალ და თუ ღმერთს ჰსწადიან,
ერისათვის თავსა დავჰსდებ.
„მე წავალ და ეს ქვეყანა
თქვენ უნდა გებარებოდეს;
ღარიბს ისე მოუაროთ,
რომ მდიდარს არ შეჰნატროდეს;
„გლეხს თუ თავადს, დიდს თუ მცირეს
მადლი თანასწორ მოჰფინოთ,
ობოლი, ქვრივი, უძლური
ძლიერს არ დამიჩაგრინოთ.
„თუ დავბრუნდი თქვენს სამსახურს
გადავიხდით ორად ერთსა,
თუ არა და სული ჩემი
შეავედრეთ მაღალს ღმერთსა.“
ატირდა და აატირა
ყველა კაცი იქა მდგომი;
გულის სილბო სიტურფეა,
თუ კაცია სხვა ფრივ ლომი.
მართალს ვაჟ-კაცს ის ამშვენებს
როცა გულითაც ლბილია;
რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდ-სულოვნობის შვილია.

***

(შემდეგი იქნება)

## წერილები პეტერბურღიდგან

### წერილი მეხუთე.

იქნება მკითხველს თავი მოვაბეზრო სლავიანებით, მაგრამ მაინც ორიოდე სიტყვა კიდევ უნდა მოვახსენო სლავიანთა საქმის შესახებ. ამისათვის შემთხვევას მაძლევს

ერთი პატარა წერილი, „Будущность Славянства," რომელიც დაბეჭდილია რუსულს ჟურნალში «ВѢСТНИКЪ Европы» № 12. აწინდელი რუსული დრო-გამოშვებითი მწერლობა საზოგადოთ იმოდენა ბაქიობით და ტრაბახობით არის ავსებული, იმ გვარ ადგილებშია (გულწრფელად თუ პირფერობით), რომ ვისაც კი ცოტაოდენი ჭეშმარიტი მხედველობა ჰსურს შეიძინოს წამოყენებულს საგანზედ და გაიგოს რამე ამ უთავბოლო და უგზო-უკვლო ლათაიობაში, უსათუოდ ყურს ათხოვებს ზემოხსენებულისთანა წერილს. რაც უნდა ნაკლულევანება ჰსჭირდეს ამა წერ ლ'ს, მაინც აწინდელს გულის ამასუყებელს მწერლობაში ღირს შესანიშნავია, მით უფრო რომ მისი დამწერი სლავიანობის მცოდნე კაცია და არა ჰგავს ზოგიერთა მოლაქლაქეს, რომელიც მარტო იმას გაიძახის—აბა ჩვენზე ჭკვიანი და ძლიერი ვინ არის მთელს დედა-მიწაზედაო, მარტო მოვინდომოთო, თორემ მთელი ცის-ქვეშეთი ფეხ-ქვეშ დაგვეგებაო. ავტორი ლაპარაკობს სლავიანის ტომის მომავალზედ.

სლავიანის ტომის ხალხნი, როგორც მოგეხსენებათ, ძველადგანვე გაფანტულნი არიან დედა-მიწაზედ და, თუმცა ერთის ტომისანი არიან, მაგრამ რადგანაც მათი ისტორიული ცხოვრება და ბედ-იღბალი ერთი და იგივე არ იყო, ძალიან დაშორებულნი არიან და გადაკიდებულნიც ერთი-ერთმანეთზედ. იგინი განსეთქილნი არიან ყოველის მხრით: ემორჩილებიან სხვა და სხვა სახელმწიფოს; თითოეულ სლავიანის ხალხს აქვს თავისი საკუთარი ენა, საკუთარი მწერლობა, თავისი საკუთარი სარწმუნოება და სხვ. მათი სისუსტეც ამაშია. თითოეული სლავიანის ტომის ხალხი იმდენად სუსტია იმ ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე, რომელსაც ექვემდებარება, რომ თვითარსებობის დაცვა ძნელია, ამიტომ ცოტად თუ ბევრად თან და თან ჰკარგავს თვის დედა-თვისებებს და იძენს იმ ხალხის გვარტომობას, რომლის ძლიერის გავლენის ქვეშ იმყოფება. პრუსიის სლავიანებზედ დიდი ზედმოქმედება აქვს ნემეცურს ენას, განათლებას და წყობას; ავსტრიის სლავიანები არიან ნემეცებისა და ვენგრიელების გავლენის ქვეშ; ოსმალეთის სლავიანები ვერ ასცდიან რუმინებს, ბერძნებს და თითქმის ოსმალებსაც; დალმაციის სლავიანებზედ დიდი ზედ-მოქმედება აქვთ იტალიელებს, თუმცა იტალიელების რიცხვი დალმაციაში მცირეა; მას აქეთ რაც ჩერქეზები დაასახლეს ბოლგარიაში ძნელი საქმე დაემართა ბოლგარიის გვარ-ტომობას (ჩერქეზებიც კი!).

ამ გვარი მდგომარეობა, რასაკვირველია, ვერაფერს მომავალს უქადის სლავიანებს, და მათი კეთილის მოსურნენი იმულებულნი არიან დაფიქრდნენ და მოძებნონ რამე საშუალება სლავიანების ტომის დამკვიდრებისათვის. სლავიანოფილები, მეტადრე უწინდელის დროისანი, ბევრს ლაპარაკობენ სლავიანის ტომის ძლიერს მომავალზედ, მათს ახალს ცივილიზაციაზედ, რომელიც ვითომ დაამარცხებს და გაჰქელეტავს ევროპიის ცივილიზაციას. მაგრამ ცარიელი ლაპარაკით ხომ საქმე არ გარიგდება თუ ამ ლაპარაკს საფუძვლად სინამდვილე არ უძევს. ეს სინამდვილე კი, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ცხადათ გვიჩვენებს რომ სლავიანის ტომის ხალხნი ვერ ასცდიან უცხო ტომთა ზედ-მოქმედებას და გავლენას, და ადრე თუ გვიან მათი გვარტომობა გაქარწყლდება როგორც შარშანდელი თოვლი. მაშასადამე უნდა მოპოვებულ იქმნას ღონისძიება, რომ სლავიანებს ფესვები გაუმაგრდეთ და მით დაუმკვიდრდეთ მომავალი; უნდა მოიძებნოს იმისთანა ძალა, რომელსაც შეეძლოს სლავიანის ხალხთა შეკავშირება და ერთობის დამყარება. ამავე საშუალებას და ძალას დაეძებს ზემოხსენებული წერილიც.

სლავიანთა საგვარტომო მოძრაობა ყველაზედ უწინარეს მწერლობაში გამოჩნდა. ყველა პაწაწკინა ტომი დაადგა თვის საკუთარის ლიტერატურის დაარსებას და შემუშავებას. ამის გამო გაჩნდა მრავალი სხვა და სხვა სლავიანური მწერლობა, იმდენი რამდენიც ცალკე ტომი და ენა მოიპოვებოდა. ამ გვარი სიმრავლე და სხვა-და-სხვაობა ლიტერატურისა არამც თუ არავის არ აწუხებდა, არამედ სლავიანობის მოყვარეთ უხაროდათ კიდეც: რამდენიც უფრო მეტი იქმნებაო იმდენი უკეთესიაო, რადგანაც ეს სიმრავლე მხოლოდ სლავიანის ხალხის აღდგენისა და წარმატების ნიშანიაო. მაგრამ გავიდა ხანი და ამ მოძრაობის ზოგიერთა მოღვაწენი დაფიქრდნენ: იქნება ამ გვარი განაწილება ძალისა, როგორსაც წარმოგვიდგენს სლავიანურის მწერლობის სიმრავლე, სასარგებლო კი არა, არამედ მავნებელიც იყოს მთელის სლავიანის ტომის მომავალისათვისაო? ნუ თუ ამისთანა პატარ-პატარა მწერლობებს შეუძლიანთ აიტანონ ბრძოლა ევროპიის განვითარებულს, მძლავრს ლიტერატურასთან და აიცილონ თავიდგან უცხოეთის ძლიერი გავლენაო? ამ გვარ განაწილების ძალით ერთი და იგივე საქმე მრავალ ჯერ კეთდებაო და ამასობაში ტყუილ-უბრალოდ ჯაფა და

შრომა იკარგებაო, რომელიც საკუთარის მეცნიერებისათვის რომ ყოფილიყო მოხმარებულიო (ე. ი. მეცნიერების გამდიდრებისა და წარმატებისათვის) უფრო კარგი იქმნებოდაო. ყველა ეს სლავიანური მწერლობანი ენით თუმცა ენათესავებიან ერთი-ერთმანეთს, მაგრამ მაინც უცნობნი და გაუგებარნი არიან ერთი-ერთმანეთისათვის. მაგალითებრ, სერბიის მწერლობას რომ ნდომოდა გაეგო რას არიგებს, ვჰსთქვათ, ჩეხიის ლიტერატურა, იძულებული იყო გადაეთარგმნა ჩეხურიდამ, როგორც, მაგალითებრ, ფრანციულიდამ ან ნემეცურიდამ. მაშასადამე სლავიანის ტომი რაღა ერთობას მიაღწევს? გარდა ამისა აქ უნდა მოგახსენოთ, რამდენადაც სლავიანოფილები გვარ-ტომობაზედ ლაპარაკობდნენ და რამდენადაც მათ დროშაზედ მხოლოდ გვარ-ტომობა იყო წარწერილი, იმდენად სლავიანის მწერლობათა რიცხვი მრავლდებოდა და ბოლოს გამოვიდა შემდეგი: სლავიანოფილები იღვწოდნენ ერთობისათვის, ის კი არა თუ მოიპოვეს განხეთქილება. აი ამ უბედურების აცილებისათვის უნდა მოგონილიყო რომელიმე მტკიცე და მძლავრი ღონისძიება. ზოგმა ის გამოჰსთქვა, რომ ყველა სლავიანებისათვის ერთი და იგივე სალიტერატურო ენა იყოს შემოღებულიო. ზოგმა კიდევ დაუმატა, რომ ამ გვარ ენად რუსული ენა უნდა იყოსო, როგორც ენა ძლიერისა და უცხო მფლობელობისაგან თავისუფალის ხალხისაო. ამ აზრსაც გამოუჩნდა წინააღმდეგი აზრი და შეხედულობა. მართალია რუსული ენა ეკუთვნის ძლიერს ხალხს, მაგრამ ეს რა საბუთიაო, შენი ჭირიმე, ამ ენის მიღებისა სლავიანის ლიტერატურის მიერ? გარდა ამისა უცხო ენის შემოღება,—ამბობს ხსენებულის წერილის ავტორი,—თვის ლიტერატურაში (თუნდ ახლოც რომ უდგებოდეს ის ენა თვის საკუთარს) იმისთანა სალიტერატურო არეულობაა, რომლის მოხდენა რამდენიმე კერძო გვამთა პირშეკრულობით შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა მძლავრი და განსაკუთრებითი პირობები; საჭიროა, რომ იგი ენა იყოს განათლების აუცილებელი სახსარი, რომ მის შეუსწავლელად, მის ლიტერატურის შეუძინავად ვნება რამ ეძლეოდეს ხალხის სარგებლობას. ვიდრე რუსული ენა მიიღებოდეს, ვიდრე შევიძლებთ სრულის უფლებით ურჩიოთ რუსულის ენის შეთვისება, რუსულმა ლიტერატურამ იმ გვარი თვისებები უნდა შეიძინოს, რომელთაც შეეძლებათ მიიზიდონ ჩვენი ძმები; მან უნდა დაიმკვიდროს ევროპაის ლიტერატურის თვისებანი, აგრეთვე სამეცნიერო და საზოგადოებრივო სიმდიდრე შინაარსისა და წერა-ბეჭდვის თავისუფლება. მძიმე საგანნი და მათი თავისუფალი გარჩევა რომ მოიპოვებოდნენ რუსულს მწერლობაში, სლავიანები უჩვენოდაც მოეჭიდავდნენ მას ხელს, და თუ ისურვებდნენ ამ მძიმე საგანთა სჯაში მონაწილეობის მიღებას, დაიწყებდნენ რუსულს ენაზედ წერას, იმის მსგავსად როგორც ეხლა რუსის მწერალი, თუ მრავალი მსმენელი ჰსურს და თავისუფალი ლაპარაკი, ფრანციულს ან ნემეცურს ენას ჰკიდებს ხელს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ დასავლეთისა და სამხრეთის სლავიანებს გარს ახვევიან ხალხნი, რომელთაც უპირიათ თავისუფალი ლიტერატურა. ამასთანავე ავსტრიის სლავიანთა უმრავლესობამ იცის ნემეცური ენა (განათლებულთა შორის ხომ ყველამ იცის). მაშასადამე ზემოხსენებული პირობა უფრო აუცილებელია. რჩევის და მადლატანების მაგივრად სჯობს ფართო გზა გაუკაფოთ ჩვენ საკუთარ მწერლობას, ეს უფრო მტკიცე საშუალება იქნება. ჩვენს მიერ მტრობა და დაუდევნელობა კერძო ტომთა მწერლობისადმი სრულიად არ უშველის საქმეს. ამ მწერლობის არსებობას თვისი საბუთი აქვს და თუ თვით-არსებობისა გვეშინიან, მის წინააღმდეგობად საჭიროა არა მტრობა, არამედ ჩვენი საკუთარი წარმატება. კერძო ტომთა ლიტერატურის არსებობა დამყარებულია ყოვლად კანონიერს და პატივსაცემს გრძნობაზედ—თავის სამშობლოს სიყვარულზედ. სიყვარული თვის სამშობლო ენისადმი დაბადებითვე ჰყვება კაცს, იგი არის ფიზიოლოგიური თვისება კაცისა. ამ ენაზედ ჰსმენია მას ნანა, ამ ენაზედ გაუგონია მას დედის ალერსი და ამავე ენაზედ უთამაშნია მას წინაპირველად; ეს არის ენა მისის ოჯახისა, მისის ამხანაგობისა და ხალხის ცხოვრებისა, თუ ყმაწვილობითვე უნახავს ეს ცხოვრება. ხალხის მდგომარეობისათვის ზრუნვას აუცილებლად მოსდევს სიყვარული ხალხის ენისადმი. ვინც ხალხს მიჰმართავს თვის სიტყვის ლაპარაკით, თუ სწავლით თუ წიგნით, უფრო ადვილად გააგებინებს თვის აზრს იმ ენაზედ, რომელიც ესმის ხალხს. როდესაც სლავიანთ „აღდგენა“ იყო წამოყენებული და როდესაც „ხალხისადმი“ იყო მიქცეული ჩვენი ყურადღება, დიდი შრომა დაიდვა, რომ პირ-და-პირ ხალხის პირიდგან გაეგო მისი ჭკუისა და გრძნობის შინაარსი, სიმღერებში, ზღაპრებში თუ ანდაზებში იხატებოდა ეს შინაარსი. ამ შრომის ჯ

როვანი ნაყოფიც მოჰყვა: უფრო ვრცლად გავიგეთ ხალხის ცხოვრება, უფრო ახლო დაუდგა საზოგადოება ხალხის უმრავლესობას, რომელშიაც მოგროვილა საგვარტომო ძალა. თუ სლავიანის გვარტომობის კეთილის მოსურნენი არიან აგრეთვე ხალხის კეთილის მოსურნენიც, მათ მიერ უსამართლობა იქმნება თუ ეტყვიან ხალხს, შენ ხომ შენი ჭკუა და გონება გაგვაგებინეო, ეხლა კი წადი აღარ გვინდიხარო, არც შენი ენა გვინდაო, და შენც გარგს იქ, რომ დაივიწყოვო". ერთის სიტყვით ავტორი იმ აზრზედა დგას, რომ თუ მართლა სალიტერატურო ერთობა გვინდა სლავიანებისათვისაო, დარიგებით და რჩევით არა გარიგდება რაო, და ყველაზედ უწინარეს ჩვენ ჩვენს საკუთარს მწერლობაზედ უნდა ვიზრუნოთო და სასირცხვილო მდგომარეობიდამ გამოვიყვანოთო.

ახლა ვთქვათ სლავიანებს, ასე თუ სხვაფრივ, მიეცეთ ერთი და იგივე, თუნდ რუსული ენა. ამით სრულიად არ მკვიდრდება სლავიანთა ერთობა. განხეთქილება, ლანძღვა და თრევა ერთმანეთისა ერთსა და იმავე ენაზედ კარგად შეიძლება. „ენა არის მხოლოდ საშუალება სალიტერატუროისა და საზოგადოებრივის ერთობისა და არა თვითონ ერთობა, არა თვითონ ცხოვრება". ესვე ითქმის სარწმუნოების ერთობაზედ და სხვ.

ნამდვილი ერთობა შესაძლებელია მხოლოდ საპოლიტიკო ასპარეზზედ, იმ ასპარეზზედ, რომელიც აკმაყოფილებს უფრო ძლიერს და მტკიცე მოთხოვნილებას და გრძნობას კაცისას, ვიდრე საგვარტომო გრძნობაა. დააკვირდით ისტორიას და ნახავთ, რომ საგვარტომო მიდრეკილება იმდენად მძლავრი არ არის, რომ თავისთავათ აწარმოვოს მძიმე ცვლილება ცხოვრებაში; ამ ცვლილების მოსახდენად საგვარტომო მიდრეკილების გარდა საჭირო იყო ყოველთვის კიდევ სხვა რომელიმე ძალა, უფრო მტკიცე და უფრო მძლავრი საგვარტომო მიდრეკილება არ ყოფილა იმდენად ძლიერი სახსარი, რომ მარტო ამ სახსარის ძალით ორი რომელიმე ტომის ნაწილი შეერთებულიყვნენ ერთს სახელმწიფოდ, ან ერთი რომელიმე სახელმწიფო დარღვეულიყო ორ ნაწილად. პორტუგალიას არავითარი სურვილი არა აქვს შეუერთდეს ისპანიას, თუმცა მათი გვარტომობა ერთია. ჰოლანდიას არავითარი მიდრეკილება არა აქვს გერმანიისადმი. აი კიდევ შვეიცარია, მისს ფრანცუზულს ნაწილს არავითარი სურვილი არა აქვს საფრანგეთთან შეერთებისა, არც იტალიური ნაწილი მიიზძვის იტალიისკენ. მართალია ბევრი განხეთქილება და შეერთება მომხდარა ისტორიაში, მაგრამ მას მოსდევდა სხვა უფრო ძლიერი მიზეზი, ვიდრე გვარტომობა. მართალია ლომბარდო-ვენეციელები გადუდგნენ ავსტრიელებს, მაგრამ იმიტომ, რომ ავსტრიის მფლობელობა მათთვის შემაწუხარი იყო. მართალია მოლდავია და ვლახეთი შეუერთდნენ ერთიერთმანერთს, მაგრამ იმიტომ რომ ორივ ერთად უფრო მტკიცედ აუვიდოდნენ ოსმალების თავდასცემას, ვიდრე ცალ-ცალკე. ესევე ითქმის ეხლანდელს სლავიანებზედაც. მართალია ავსტრიის სლავიანები კმაყოფილნი არ არიან ავსტრიის მმართველობისა, მაგრამ აბა ახლა ჰკითხეთ თვით ავსტრიის ნემეცებს, თვითონ კი იგინიც კმაყოფილნი არიან თუ არა. აგრეთვე გერმანიის სლავიანებიც. ყველგან უმრავლესობას ერთი და იგივე ჭირი და მწუხარება აწევს. ყველგან და ყველანი ცდილობენ გამოვიდნენ ამ მწუხარებიდგან. ამ ცდაში გვარტომობას უპყრია მცირე მონაწილეობა. თუ ხალხი მშიერია, დაეძებს ლუკმა პურს. იქნება ამისათვის შეუერთდეს თვის ტომის ხალხს. მაგრამ არა მგონია, რომ ეს შეერთება მოინდომოს თუ დაინახავს, რომ შეერთების შემდეგ უფრო მეტი შიმშილი მოელის ვიდრე უწინ. თუ ხალხი დამწყვდეულია, იგი დაეძებს თავისუფლებას, მაგრამ არ გეგონოთ, რომ უფრო მეტი საპყრობილე ირჩიოს ოღონდ კი საგვარტომო მიდრეკილება დაიკმაყოფილოს... ნამდვილი ერთობა შესაძლებელია მხოლოდ საპოლიტიკო ასპარეზზედ ამ სიტყვის ვრცელის მნიშვნელობითა.

ამ მხრით დავხედოთ სლავიანის ტომის ხალხთა მდგომარეობას, ვნახოთ რა სახით შეიძლება მათი შეერთება, თუნდ რუსეთის წინამძღომლობით. „ბალკანის სლავიანთა განთავისუფლებაო, ამბობს ჩვენი ავტორი, ადვილად მოსაზრებელია. მაგრამ რა გაეწყობათ ავსტრიისა ან პრუსსიის სლავიანებს? იგინი ისე დახლართულნი და გაფანტულნი არიან უცხო ადგილთა შორის, რომ მათი შეერთება (რუსეთის წინამძღომლობით— მთავარ მეფობით ამ ადგილების დაუპყრობლად შეუძლებელია; ეს ადგილები ეკუთვნიან იმ ტომთ, ნემეცებს და ვენგრიელებს, რომელნიც ძველადგანვე ჰფლობენ სლავიანებს და, რასაკვირველია, მუქთად არ დასთმობენ თვის მფლობელობას. ავსტრიის ნემეცებს მიეშველებიან გერმანიის ნემეცები, ვენგრიელნი და სხვ."

ევროპიის სლავიანები ცოტად თუ ბევრად ჩართულნი არიან ყოველის მხრით ევროპიის ცხოვრებაში. ცოტად თუ ბევრად, ცუდად თუ კარგად მათი მოთხოვ-

ნილებანი და მიდრეკილებანი დამყარებულნი არიან იმ ნიადაგზედ, რომელსაც აძლევს მათ ევროპა თვის საპოლიტიკო მოწყობილობით. სლავიანები მტკიცედ დგანან ამ ნიადაგზედ მეტადრე 1848 წ. აქეთ. ეს ნიადაგი ვიქონიოთ მხედველობაში და ვკითხოდ ზემოხსენებულის ავტორის სიტყვით: ნუ თუ შესაძლებელია სლავიანებისა და რუსის საზოგადოებისა ხელის-ხელს გაყრილი მოძრაობა"? ვინც შინაობაში მოკლებულა, ამბობს ავტორი, გაუმჯობესობილი ცხოვრებას, ნუ თუ მას შეუძლიან მიიღოს ნამდვილი და მტკიცე მონაწილეობა გარეშე ცხოვრებაში?" ამ მხრით ევროპიის სლავიანები და რუსეთის საზოგადოება ერთი ერთმანეთის წინაშე იმავე მდგომარეობაში არიან, როგორც ოცდაათის წლის წინეთ იყვნენ, როდესაც იფეთქა სლავიანის მოძრაობამ როგორც მაშინ, ისე ეხლა, მათ ვერა გაუგიათ რა ერთიერთმანეთისა; როგორც მაშინ გრძნობიერი მოძრაობა, რუსის საზოგადოების მიერ (სლავიანთადმი) შეუძლებელი იყო, ისე ეხლა, რადგანაც რა ცვლილება მოხდა (ამბობს ავტორი) მას აქეთ რუსის საზოგადოების მდგომარეობაში? მართალია გადავარდა ბატონ-ყმობა და სხვა და სხვა ცვლილება დაწყებულ იქმნა მმართველობაში. მაგრამ ამ ახლად დაწყებულს ცვლილებებს ბევრი მტერი აჩენიათ, რომელნიც ცდილობენ ფესვები მოუჭრან მათ და ცოტად თუ ბევრად ახერხებენ კიდეც; ეს ცუდი ნიშანია. თვით ცვლილებანიც, ფრიად კეთილნი, ჯერ მხოლოდ დასაწყისში არიან და ჯეროვანი ნაყოფი არ მოუტანიათ საზოგადოებისა და ხალხისათვის,—ნაყოფი, რომელიც შეჰფერის აწმყო დროს და დაუდგრომელის ისტორიის მოთხოვნილებას". შემდეგ ამისა ავტორი ამბობს: „ჩვენი მამულის შვილნი, რომელნიც ზრუნავენ სლავიანთათვის, დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ჩვენს საზოგადოებას მხოლოდ მაშინ შეეძლება მტკიცედ მოუმართოს ხელი სლავიანებს, როდესაც ეცდება თვის საკუთარი საქმეები შეიყვანოს წარმატებაში; შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს მეგობრობა სლავიანთადმი და შინაობაში კი უკან მსვლელობა და ცუდად ჯდომა. ომიანობით უშველით სლავიანთა (სამხრეთის) საქმეს; მაგრამ ნუ იფიქრებს სლავიანების კეთილის მოსურნე, რომ ამის გამოისობით იგი უნდა მოჰყვეს საგვარტომო ჭვენას და სამშობლოის ღალატობა დაჰსწამოს ყველას, ვინც ამისთანა დროს თვის შინაურ საქმეზედაც ზრუნავს გათავდება ომი; ბოლგარიელებს, ვთქვათ, მიეცემათ თავისუფლება; მაშინ მათი ცხოვრება შევა ახალს ხანაში და ბერდანის თოფებით და შორს მსროლელ ზარბაზნებით ვეღარას უშველით; ჩვენ მიერ შველა შესაძლებელი იქმნება მხოლოდ ჩვენის საზოგადოებრივის შინაარსით, ჩვენის განათლებით და საპოლიტიკო განვითარებით. იყო დრო, როდესაც სერბიელნიც იმავე მდგომარეობაში იყვნენ, როგორც ეხლა ბოლგარიელნი; მაშინაც ცოტაოდნად შველოდნენ რუსები თვის ტალიან თოფებით და საპირიდამ სატენ ზარბაზნებით; მაგრამ გავიდა ოცი-ოცდაათი წელიწადი და გამოჩნდა, რომ სერბიელნი ეკავშირებიან და სხვა და სხვაფრივ დამოკიდებულნი არიან რუსეთზედ კი არა, არამედ ავსტრიაზედ, თუმცა ეს კავშირი მათის სარგებლობის წინააღმდეგი იყო. ამის მსგავსი რამ შეიძლება ბოლგარიელებსაც დაემართოთ, და ასე მოხდება კიდეც. შორს მსროლელი ზარბაზნები ვეღარას გააწყობენ: სხვა-გვარი იარაღი იქმნება საჭირო. გულით გვსურს, რომ ამ გვარი იარაღი მოიპოვებოდეს ჩვენში, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამას სრულის რწმუნით ვერ ვიტყვით".

---

## საქართველო.

(ისტორიული და ეტნოგრაფიული გამოკვლევა)

(შემდეგი *)

ჩვენის აზრით, ხსენებულთ ტომთ საცხოვრებელი ადგილები და ერთი მეორის საზღვარი არეული უნდა იყოს. ჩვენ იმასაც ვფიქრობთ, რომ უცხო-ტომთ ძველი ცნობები ერთსა და იმავე ტომს სხვა და სხვა სახელს აძლევენ და ამ რიგად იმათ წარმოგვიდგენენ სხვა და სხვა ტომებად. ამ გვარ შეცდომას უცხო-ტომთ მხრივ ხშირად ვხედავთ ძველ დროშიაც და შემდეგაც. ის კი ეჭვ გარეთ უნდა გვქონდეს, რომ ხსენებულთ ხალხთ ნამდვილად ჰსჭერიათ თითქმის მთელი სივრცე ჰალისის მდინარიდამ მოყოლებული ვიდრე კავკაზის მთამდე. ამაში იმიტომ არ უნდა ვეჭვნეულობდეთ, რომ, როგორათაც სხვა და სხვა გვარი გამოკვლევა ჰმოწმობს, ეგვიპტელნი, ქალდეო-ასსირიელნი და ებრაელნი იმათთან თურმე დაიარებოდნენ და აღებ-მიცემობდნენ, იმათის მადნებით სარ-

*) „ივერია" №№ 43, 44, 1877 წლისა.

გებლობდნენ და იმათ ქალ-ვაჟებს სავაჭროდ ეტანებოდნენ; მაშასადამე დიად კარგად იცოდნენ მდებარეობა იმათის ქვეყნისა.

თუ ჩვენ აქ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გასაოცარს ჟამთა სივრცეს, რომლის მომდინარეობაშიაც მათ უცხო-ტომნი ხსენებულს ადგილებში უჩვენებენ და თუ ამასთანავე იმათ ქართველ ტომად ვაღვიარებთ, მაშინ ზემოხსენებული უცხო-ტომთ ცნობები ძვირ-ფას ცნობებად უნდა მივაჩნდეს. ახლა იმათ ქართულ შთამომავლობაში თითქმის არ ეჭვნეულობენ. ეს საგანი შესწავლულია რამდენთამე სწავლულთაგან, მაგრამ იმათ შორის ისე საფუძვლიანათ არავის არ გამოუკვლევია, როგორც ფრანცუზს დიუბუა დე მონპერეს, რომლის მოგზაურობა Voyage autour du Caucase გამოიცა ექვს წიგნად პარიჟში 1839—1843 წ. თუმცა დიუბუას დროს ახალი არხეოლოგია ჯერეთ არ არსებობდა, მაგრამ ამ ევროპიელმა, განვითარებულმა მეცნიერების მრავალ შტოებში, სხვა და სხვა ტომთ მითოლოგიურისა და ისტორიულის ცნობების შედარებით ისე გამოიძია დასკვნილი საგანი, რომ აწინდელს არხეოლოგიურს გამოძიებას ჯერეთ იმაზე წინ არ წაუდგავს ფეხი. ესეც უნდა ვთქვათ რომ დიუბუას „მოგზაურობა" აქამომდე მთელს ევროპაში მიღებულია უკეთესს სახელმძღვანელოდ საზოგადოდ კავკასზე. აი რას ამბობს დიუბუა როდესაც ის აგვიწერს საქართველოს სომხეთის მადნებს:

„რკინა ითხრება აქ ბოლნისში, ახტალაში, კარდაშერდში, კარაკლისში, ყულფში და სხვ. ყულფის მადანი ცნობილია ძველადვე და მე ეჭვი არა მაქვს, რომ ყულფი უნდა იყოს ხალიბი ჰომერისა, ჰეროდოტისა დასტრაბონისა. რამდენჯერმე შემინიშნავს კიდეც თუ როგორ იყო განთქმული საქართველო თავისის რკინით და სპილენძით და შეიძლება დაჯერებით ითქვას, რომ თობელი, ანუ თუბალი „დაბადებისა" ჰნიშნავს ახლანდელს საქართველოს: იოსებ ფლავიოსი იბერიად სთარგმნის იმ ძველ სახელს, რომელსაც ბერძენნი მისთვისებდნენ ქართველებს.

„იავან, თობელ და მოსოხ ვაჭარ შენდა, რომელთა მოავლეს აღებ-მიცემობა თვისი ვაჭრობითა კაცთაჲთა და ჭურჭლითა რვალისაჲთა" (რვალი სპილენძია), იტყვის ეზეკიელი ქალაქის თირის აღებ-მიცემობის მშვენიერს აღწერაში (თავი, XXVII. მუხლი 13) [13].

„მარტო სპილენძი არ ყოფილა საგნად აღებ-მიცემისა, რომელიც ამდიდრებდა თობელის ვაჭრობას. ნუთუ თობელს არ წარმოგვიდგენს ძველის-ძველად „დაბადება:" ხოლო სელაჲ შვაჲ თობელ: ესე იყო კვერითხუროჲ მჭედელი რვალისა და რკინისა?" (IV, 22).

„იქ, სადაც ებრაელნი უჩვენებენ თავიანთს თობელს, ბერძენნი ჰპოვებენ ხალიბებს, რომელთ სახელი ჰნიშნავდა ფოლადს და თვით ხალხს, რკინეულობის ჭედის მცოდნეს.

„თავდა პირველად ამ საგანს შეეხება ჰომერი. ის ამბობს ილიადის მეორე თავში:" ოდიოსი და ახოვანი ეპისტროფუსი წინამძღოლობენ ჰალიზონის მხედრობას, მომავალს შორი-ქვეყნით ჰალიბით, სადაც ვერცხლი იპოვება." შემდეგ ჰომერისა სხვა მწერლებიც ხშირად მოიხსენებენ ხალიბების რკინას. სტრაბონი, განმარტავს რაზომად მოყვანილს სიტყვას ჰომერისას, არღვევს იმ მწერალთ აზრს, რომელნიც ხალიბებს ასახლებენ მცირე აზიის წინა ადგილებში; თვით სტრაბონი იმათ უჩვენებს სომხეთში. მართლადაც, ყულფი (გოლფი) არის სომხური სიტყვა და მე ვიცი სომხეთში სამი ადგილი, სახელ-დებული ყულფად და სამნივე იგინი განთქმულნი ყოფილან მადნებით. ერთი მათგანია ყარსის ფაშალიკში; მეორე, რომელიც მე განვიხილე, დიდ-არმენიაშია, მაგრამ ორსავე ამ ყულფში ითხრება მხოლოდ მარილი. მესამეს შეადგენს ის ყულფი, რომელიც რკინის მადნით არის მდიდარი და რომლის სახელით ორი-ათასის წლის წინად იგულისხმებოდა ერთი გვარის უმთავრესთა თემთაგანი, ესე იგი ხეობა ყულფისა, ანუ გოლფაფორისა. იმ დროს ეს ყულფი შეადგენდა არმენიის ნაწილს (Saint-Martin, Mémoires sur l' Arménie, II, 367).

[13]) ეს მუხლი თითქმის ერთ-გვარია როგორათაც ფრანცუზულს ბიბლიაში, აგრეთვე ნემეცურში და ლათინურში. მხოლოდ ამ უკანასკნელში იავანის მაგიერ იხმარება Graecia; ქართულ ბიბლიაში კი შეცვლილია ისე, როგორც სლავიანურში. ქართულში: „ელლადაჲ უვალი და განმვრცელებელნი მისნი, ვაჭრობდეს შენ შინა სულებსა კაცთასა, და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა." სლავიანურში: «Еллада вся, и ближнiи твои: продаяху въ тебѣ душы человѣчи: и сосуды мѣдны даша куплю твою.»

„ახლა თუ თქვენ დარწმუნდით, რომ ყულფია ძველი ხალიბი, მაშ ისიც ცხადი უნდა იყოს თქვენთვის, თუ რისთვის უწოდს ჰომერი ჰალიზონებად ყულფიდამ მომავალს მხედრობას: გადით მტკვარს, რომელიც პირისპირ ყულფისა მიმდინარეობს, და თქვენ შეხვალთ მშვენიერს ალაზნის ჴეობაში, რომლის სახელი ისე ძველია, როგორც თვით ქართველი ერი (Strabon, livre XI, p. 382).

„ბიბლია კიდევაც წარმოგვიდგენს ერთს ადგილს, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიქცია და რომელიც ცხადად გვიმტკიცებს, რომ ყულფი, გოღფი, თობელი და მოსოხი ერთი და იგივეა. ეზეკიელის წიგნში ვკითხულობთ: „ძეო კაცისაო განიმტკიცე პირი შენი გოგსა ზედა, და ქვეყანასა ზედა მაგოგთასა, მთავარსა როსს, მოსოხს და თობელსა, და წყლე მის ზედა (XXXVIII და XXXIX)“. თუ მკითხავთ, რა მსგავსება აქვთ ერთმანეთში ყულფსა და გოღფსა, მე გეტყვით ამაზე: ყულფი ითქმის ქართულად; სომხები კი ამ სიტყვას გამოსთქმენ გოღფად, რადგანაც მათ ენაში ლ იცვლება ღ-ად, ასე მაგალ., სომხები იტყვიან ალბანის მაგიერ აღვანი, და ზარეს მაგიერ ღაზარი, თრიალეთის მაგიერ თრეღ, და სხვა.“ 14).

სხვა ადგილს იგივე დიუბუა ამბობს: „მესეხი, მოსოხი, მოსოხის ტომი, წარმომდგარი პირველთ ფრიგიელთაგან (?) ანუ თარგამოსიანთაგან და მიდიელთაგან, რომელთაც იგი დაუყენებიათ წარმატების გზაზე და ხალხოსნობის მჭიდრო საფუძველზე, ბინადრობდა კოლხიდასა და საქართველოს შორის: იმას ეპყრა მთელი მხარე ყვირილის სათავიდამ (ფაზი ძველთა მწერალთა) ვიდრე მტკვრის სათავემდე. თვით ყარსისა და ახალციხის ფაშალიკები უნდა ყოფილიყვნენ მოსოხის შუა-გულად.

„ერთი და იგივე არ ყოფილა ყოველთვის მოსოხის საზღვრები: ხან ვრცელი თურმე იყო, ხან შეზღუდული. მოსოხს საზღვრავდნენ რამდენიმე სამეფონი, რომელნიც მას მძლავრობდნენ და სტაცებდნენ უხვად მინიჭებულს ველე-მინდვრებს. სტრაბონის დროს, მისივე სიტყვით, იგი დაყოფილი ჰქონდათ კოლხიდას, იბერიას და არმენიას.

„მე აღარ განვიმეორებ, რაც რომ ზემოდ ვსთქვი მესხეთზე (II, 17 და 71; III, 171). აქ მხოლოდ შევნიშნავ, რომ თვით საქართველოს მწერალნი მესხებადვე იხსენიებენ მესხეთის მცხოვრებთ, რომელნიც ამ სახელით თავე ცნობილნი არიან ბიბლიაში, სტრაბონისაგან და პროკოპისაგან. თუმცა ისინი აქამომდე ისევ მესხებად იწოდებიან, მაგრამ უმეტესი ნაწილი მათის მხარისა ზემო-ქართლად არის შეცვლილი. ეს გარემოება ჩვენ გვიმტკიცებს დიდს ნათესავურს დამოკიდებულებას მესხებისას და ქართველებისას; ამასვე გვიმტკიცებენ მათი ენა, ხასიათი და ცხოვრების ჩვეულებანი, რომელნიც ყოველთვის ერთნი და იგინივე ყოფილან. მოსხნი და თობელნი ქართველნი—ძველის-ძველადგანვე არიან ხმობილნი, როგორც თვით სამღვთო-წერილში, აგრეთვე ჰეროდოტესაგან. ჰეროდოტის სიტყვით ორნივე, მოსხნი და ტიბარენნი, ერთად სწევენ ხარკს სპარსეთისთვის (Hérodote, III, 94) და ერთ-გვარ არიან შეიარაღებულნი და ერთს სარდალს ექვემდებარებიან ქსერქსის მხედრობაში (VII, 78) 15).

„რომ თობელნი თუ თუბალნი არიან ქართველნი ეს ცხადია: იოსებ ფლავიოსი ნამდვილად ამბობს, რომ თუბალებად იგულისხმებოდნენო იმის დროს იბერნი ანუ იბერნი პლინისა, სტრაბონისა და პროკოპისა, ესე იგი აწინდელნი ქართველნი. ტუბალი, იბერი და ჰეროდოტის ტიბერნი ერთი და იგივეა, თუმცა თვით ქართველნი ამ სახელს არ უწოდდნენ თავიანთ ქვეყანას. აქამომდე შერჩენია ეს სახელი მხოლოდ მათ სატახტო ქალაქს ტბილისს, რომელიც ძველად დიდად განთქმული ყოფილა თავისის აბანოებით. მე კიდეც გამოვიკვლიე მნიშვნელობა ტუბალისა და მესექის ვაჭრობისა, რომელიც განვითარდებოდა ადამიანისა და სპილენძეულობის აღებ-მიცემობით. მე ვამტკიცებ, რომ რვალი ტუბალისა გამოჰქონდათ საქართველოს სომხეთიდამ და თვით რკინა ხალიბებისა მზადდებოდა მის მახლობლად ყულფისა და სხვა ადგილების მრავალს ქარხანებში. რა დიდის ხნისანი არიან ეს ქარხანები, ამას გვიმტკიცებს „დაბადების“ თქმულება წარღვნის წინა-დროის ტუბალკაინზე, რომელმაც პირვე-

14) Voyage autour du Caucase, IV, 136—141.

15) ვივიენ დე სენ-მარტენის შენიშვნით, იმათ ერთს გვარტომობასვე ამტკიცებს თვით სტრაბონი, რომელიც იმათ საზოგადოდ იხსენიებს ტიბარენის ტომებად. Recherches sur les populations primitives du Caucase, Paris, 1847, p 57—58. იხილე აგრეთვე Géographi de Strabon par Tardieu, Paris, 1867, II, 210.

ლად თურმე შემოიღო ყოველ-გვარი იარაღი რკინისა და სპილენძისა.“ 16)

აქ შენიშვნაში დიუბუა თავისის აზრის შესამოწმებლად ხალიბების მდებარეობაზე მოიყვანს სკილაქს (522 წ. ქრისტეს წინ), რომლის თქმითაც შემდეგ მოსინიკებისა სცხოვრობდნენ ტიბარენნი და მასუკან ხალიბნი. ცხადია, რომ სკილაქსი აღნიშნავსო ხალიბებს ტბილისის მახლობლად. „მე ვფიქრობო, განაგრძობს დიუბუა, რომ მოსინიკნი მოსხნი არიანო, თუმცა ჰეროდოტე განსხვავებას ჰპოვებსო მათ შორის.»

აქ უნდა დავუმატოთ, რომ გამოჩენილი ახლანდელთ მეცნიერთა შორის ერნესტ რენანი ხალიბებს ეძებს ძველს გორდიანში, რომელიც იმის აზრით არის ქალდეა ანუ [illegible] ქურთების ადგილ-სადგომი 17) ჩვენის ფიქრით, თუ ამ შემთხვევაში შემცდარია დიუბუა, შემცდარი უნდა იყოს აგრეთვე რენანი. ერთი ეს, რომ სტრაბონი, რომელსაც ჩვენის მხარის ტომთ მდებარება და ვითარებანი კარგათ სცოდნია, უჩვენებს ხალიბებს, რომელნიც, იმის სიტყვით, „ჩვენ დროში ქალდეებად იწოდებიან,“ ტიბარენებსა და ჭანებს შორის. ჭანებს ის ძველ მაკრონებად ჰხადის 18). მეორე ეს, რომ რომაელების და ვიზანტიელების დროს ხსენებული ქალდეა პონტის ქალდეად იწოდებოდა. მაშ სჩანს, რომ ის ზღვის პირი მხარე ყოფილა. აი რას ამბობს ამაზე სახელოვანი ჟან სენ-მარტენი: „ძველნი და საშუალო საუკუნოების მწერალნი ქალდეად უწოდდნენ იმ ადგილს, რომელიც მდებარეობს ტრაპიზონსა და კოლხიდას შუა და რომელიც მიებჯინება იმ მთას, საიდამაც ჩამომდინარებენ ეფრატი, არაქსი, მტკვარი და აკამფსისი ანუ ახლანდელი ჭოროხი. ქრისტეს შემდეგ მე-X საუკ. დამდეგს ეს სახელი დაერქვა ერთს კონსტანტინეპოლის სამხედრო თემთაგანს, რომლის სატახტო ქალაქად ირიცხებოდა ტრაპიზონი“ 19).

---

16) Dubois, Voyage, IV, 336—339.

17) Ernest Renan, Histoire Générale des langues sémitiques, Paris, 1863, p. 65—66.

19) Strab n, X II, 497, 499.

19) J. Saint-Martin, Mémoires historiques et géographiques sur l' Arménie, Paris, 1818, I, 327. n. 1.—Lebeau, Histoire du Bas-Empire, Paris, 1825, III, 366 n. 3.

## ქალაქის სცენები.

### (1877 წლის ომის დროიდამ)

(სხედან თამამშოვის ქარვასლის წინ სხვათა შორის ორნი მოხუცებულნი. პატარა ბიჭი ტელეგრამმებს დარბევინებს).

— ტელეგრამ, ტელეგრამ! ინტერესნი ტელეგრამ, ყარს გზალი!

— ესეც ესე, ყარსი აუღიათ. ახლა კი მშვიდობა ჩამოვარდება.

— აბა!.. შენც არ მომიკვდე! მა ქაღალდებს რომ ატარებენ, მაგას უჯერებ?

— ტელეგრამ, ტელეგრამ!

— აბა, ერთი ვკითხოთ ამ ბიჭს. ბიჭო, რა სწერია?

— ტელეგრამ! იყიდეთ აღაჯან, კარგი ამბებია.

— რა სწერია?

— ბევრი, ბევრი რამ. მუხტარ-ფაშა, ითამაშა!

— ჰეჰე!

— ყარსი აიღეს, გაქცეულა, გეიმანი გამოსდგომია, აზრუმს იღებს; რამდენი დავი, დარაბა სწერია! იყიდეთ, შეიტყობთ!

— რუსული ჯერ არ გვისწავლია, ისე გვითხარი.

— პატარები ხართ, მაშ ჯერ ისწავლეთ! ტელეგრამ, ტელეგრამ!

— შეხე ამ ლაწირაკსა! ჰა შე წუწკი შვილო! რა გაირყვნა ხალხი! აბა რა კეთილს ისწავლიან ე ბიჭები? ქუჩა-ქუჩა თრევით ლოკაობასა სწავლობენ...ეე...ასე, ე ყარსიც აიღეს...მითომ ომი ახლაც არ გათავდეს?

— რა ბძანებაა გათავება. მითომ ყარსითა და აზრუმით საქმე მორჩეს, შენც არ მამიკვდე! ყარსი და აზრუმი მითომ ჯიბეში ზდებიათ. რამდენჯერ აიღეს, მაგრამ არ გათავდა.

— ამისთანა ცხარე ომი კი არა ყოფილა, მე თქვენ მოგახსენოთ. სანამ ქრისტიანებს არ დაიხსნიანო, მოგახსენებენ, ომი არ გათავდებაო. ახლა ე ყარსი რო აიღეს მითომ თათარმა ქრისტიანებზე ახლაც ხელი არ აიღოს?

— ჩემზე ახალგაზდა ხარ, მე მოვკვდე და შენ იცოცხლო, ეს სიტყვა არ დაგავიწყდეს: სანამ ელუსარემზე ოსმალო ხელს არ აიღებს, ომი საბოლოოთ არ გათავდეს და ეს ომიც სწორეთ ერუსალემის მიზეზით არის.

— არაო; გაზეთებში სწერენო, რომ ქრისტიანობა ოსმალოს დიდ შეწუხებაში ჰყავსო და იმის გამოთ რუსს თავი გამოუდვიაო. თქვენ რო ბძანებთ ერუსალემის კლიტის ამბავსა, ის ხომ წინა ომში გათავდა?

— შენც არ მამიკვდე, არ გათავებულა! აბა გაზეთებში რა იციან იქაური ამბავი. ე ქალაქში რო გაზეთებს ატარებენ, ეგ ფულის ბაზარი გაუმართავთ, და ვაჭარ კაცს მართალს ნუ ჰკითხავთ, რა კი ვაჭრობის საქმეა. მეორეთაც ყველაფერს ვერ დასწერენ და ესეც გიფიქროთ, კუკიის ამბავი მთაწმინდაზე სწორეთ არ მიდის, აბა იქიდამ აქ რა სწორი ამბავი მოვა?

— მართალი ბძანებაა, თქვენმა მზემ. მაგრამ საქმე რომ ქრისტიანობაზეა, ეს კი სწორეა.

— დიახაც ქრისტიანობის საქმეზეა, ერუსალემი საქრისტიანოზე არა ტრიალებს! მე თქვენ მოგახსენოთ, ეგ საქმე როგორ არის. ერუსალემი ხომ ხონთქრის ხელთ არის?

— დიახ, ხონთქარს უჭირავს.

— აგრე, ჩემო ბატონო. მაგრამ წირვა-ლოცვის ნება კი ბერძენსა, სომეხსა და ფრანგსა აქვს. ასე არ გახლავს?

— იმ თავათ ამ თავამდინ აგრე ყოფილა.

— კეთილი და პატიოსანი. იმ თავათ ამ თავამდის ხომ აგრე ყოფილა. ახლა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ე ნემენცი და ინგლიზი ატეხილა, ერუსალემში ჩვენც წირვა-ლოცვა უნდა გვქონდესო.

— ისინიც ხომ ქრისტიანები არიან?

— ქრისტიანები არიან, მაგრამ გასულები არიან, ნახევარ ქრისტიანები არიან: საყდარი აქვთ, ხატი არ იციან, მარხვა არ იციან.

— რაღა ქრისტიანები ყოფილან?!

— საქმე ეგ არის და. ხვანთქარი თურმე ნებას აძლევს. ეს ამბავი რომის ფაფს აცოდინეს თურმე, ერუსალემის საქმე ასე და ასეაო. მაშინათვე ფაფს მინისტერი მიუგზავნია ხვანთქართან, ეგ საქმე არა ქნა, თორემ ცუდი საქმე მოხდებაო; რაც ადათია, იმის მოშლა არ შეიძლებაო.—ნემეცებს ერთი ძალიან თურმე ჭკვიანი მინისტერი ჰყავთ, ისეთი ჭკვიანი თურმე რომ, რო თქვას ადექ, მთელი ხემწიფობა დგება; რო თქვას დაჯექ, ყველა დაჯდება. ეს ფაფის სიტყვა ძალიან სწყენია, ერთი ამბავი, ერთი დავი-დარაბა გაუმართავს; პატრები გაურეკია. მერე ხო ბონაპარტეს ძმისწულსაც ეომა და ტახტიდამ გადმოაგდო. სულ ეს დავი-დარაბა აქამდინ მოვიდა.

— ამბობენ ნემენცს პირი თათრისაკენ არ უჭირამსო?

— მოგახსენოთ. ნემენცი რომ ვერას გახდა, ბოლოს უკან დადგა, რუსისა მოერიდა და ფაფს მისწერა: როგორც გწირავთ, ისე სწირეთო; მე აღარაფერში არ ვერევიო. რა კი თქვენ და რუსი წინამდეგი ხართო, აღარ შემოგეცილებითო.

— ნემენცი უკან დამდგარა რაღა?

— დიახ, მაგრამ...

— დახე!

— ინგლიზი?

— ინგლიზი კი გაჯიუტებულა.

— მერე როგორა! ერუსალემის გზა და ზღვა გირაოთ აუღია და ფული მიუცია ხონთქრისათვის, მე რაცა ვთქვი უნდა ავასრულოვო: აჰა ეს შენ ფულიო და ომი თუ მოხდეს, მოიხმარეო. იქ კიდევ ნემენცი თუმცა ცხადათ კი უკან დამდგარა, მაგრამ ფარვით თოფი და ზარბაზანი გამოუგზავნია.

— სწორეთ მართალი ბძანებაა! თავარ-მართებლის სახლის გვერდით რომ წმინდა ფოლადის ზარბაზნები ეწყო, ამბობდნენ ზედ ნემენცის სახელები სწერიაო. გიდეცა თქვეს, დახე ნემენცსაც პირი იქით ჰქონიაო. ერთმა თქვა კიდეც: შენ ხელოსანი კაცი ხარ, მოვდივარ ფულს გამლევ, შენ საქონელსა ვყიდულობო; ზარბაზნიც ასეაო.—მაგრამ მე ჭკუაში არ დამიჯდა. თუ ნემენცს პირი იქით არა ჰქონდეს, რათ მიჰყიდდა?

— რა ბძანებაა! სწორეთ, როგორც მოგახსენეთ, ისე, ნემენცს თოფხანა მიუცია, ინგლიზს ფული. ამასობაში რომის ფაფს რუსთხემწიფისთვის მოუწერია, გძინავს, თუ გღვიძავსო? ეს ნემენცი დავაჩუმე, ინგლიზი არ იშლისო და შენ რაღას უყურებო? მართალია ჩემი მორჩილი ქრისტიანი არა ხარო, მაგრამ მაინც შვილათ მგონიხარო; ძალა გაქვს, ეს ინგლისი ერუსალემში არ შეუშვაო.—რუსი აბა როგორ მოითმენდა და ომიც გამართა.

— სწორეთ აგრე უნდა იყოს, თორემ თათარს სხვა დროსაც უომნია, ესეთი ძალა არა ჰქონია; ჩანს მსწავლებლები ჰყავს. ქრისტიანები კი ჰქვიანთ!

ანჩისხატის-უბნელი

1877 ქრისტეშობისთვის 29-ს.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Января 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.